

4  
3-96

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**ქეთევან გურჩიანი**

**ლიონის მისტიკები და მათი ასახვა  
ეპრიკილეს „ბაჰს ქალებში“**

სპეციალობა – 10.01.03.  
კლასიკური ფილოლოგია

**ავტორეზუმები**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
1999


სადისერგაციო ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე

- სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რისმაგ გორდემიანი
- ექსპერტი: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე
- ოფიციალური ოპონენტები:
  1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი
  2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ ოთხმეზური
- წამყვანი ორგანიზაცია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წ. 30 ივნისს 12 საათზე, თსუ არსებულ P 10.01 c N 1 (380079, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 13, აუღ. 11) სადისერგაციო საბჭოს სხდომაზე.

ავტორეფერატი დაგზავნილია: 1999 წლის 27 მაისს

სადისერგაციო საბჭოს სწავლული მდივანი, დოცენტი *მ. ფხაკაძე* მ. ფხაკაძე



შრომის საერთო დასასიათება

თემის აქტუალობა და საკითხის კვლევის მდგომარეობა. რელიგიის გავლენა ხელოვნებაზე ერთ-ერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენს კულტურების კვლევისას. იგი აქტუალობას არ კარგავს დღესაც. სხვადასხვა ზომითა და ფორმით, მაგრამ ყველა კულტურაში რელიგია გავლენას ახდენს ხელოვნებაზე. ამ ორი სფეროს ამგვარი მიმართების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება განვიხილოთ ძველი ბერძნული დრამა. ანტიკურობაში დრამატული ნაწარმოების წარმოადგენის გარემო რადიკალურად განსხვავდებოდა XX ს. რეალობისაგან. თეატრი თავისი პირველადი ფორმით რიგუალის ნაწილია. იგი ეძღვნებოდა დიონისეს. მსგავსად სამსხვერპლოსი, რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთხელ დაიკლას, კლასიკურ ხანაში მხოლოდ ერთხელ წარმოადგენდნენ გრაგედიებს სცენაზე. ძვ. ბერძნებს ევრიპიდეს დროს ჯერ კიდევ შეეძლოთ ამის განცდა და თუმცა ამტკიცებდნენ, რომ მათ თეატრს აღარაფერი ჰქონდა საერთო დიონისესთან, სწორედ კლასიკური პერიოდის მიწურულს ევრიპიდეს დრამით „ბაკხი ქალები“ დიონისე კიდევ ერთხელ დაეუფლა თავის თეატრს.

1727-

საკულტო რეალობა აწვდიდა თეატრს სიმბოლიკას, სიუჟეტებს, მოქმედების მსვლელობის ძირითად ქარგას. ამის გამო მნიშვნელოვანია რელიგიის გავლენის სფეროების და შემოქმედების სიძლიერის დადგენა თავად ნაწარმოების გასაგებად. ამასთან ერთად, თუკი მოხერხდება გრაგედიში შემონახული რიგუალური ელემენტების ისე რიგუალის ენაზე „თარგმნა“, მაშინ შესაძლებელი გახდება გრაგედიის გამოყენება რელიგიის ისტორიის ფასდაუდებელ წყაროდ.

ევრიპიდეს „ბაკხი ქალებში“ მოქმედება დიონისეს კულტის ირგვლივ წარიმართება, რისი წყალობითაც ნაწარმოები რელიგიის ისტორიისთვის საინტერესო ინფორმაციითაა დაგვირთული. მიუხედავად იმისა, რომ „ბაკხი ქალებზე“ უამრავი მეცნიერული გამოკვლევა არსებობს, არავის უცდია აქ შემონახული მთელი საკულტო ინფორმაციის სისტემაში მოყვანა და რომელიმე კონკრეტულ რიგუალურ ქმედებასთან შედარების საფუძველზე ამ ცნობების პირველწყაროს დადგენა.

ბოლო წლების არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით ისევე აქტუალური გახდა ერთ დროს ძალზე პოპულარული დიონისეს კულტის თემა. საქმე ეხება ფირფიტებს რიგუალური ტექსტებით, რომლებმაც ახლებური შუქი მოჰინა დიონისეს კულტს კლასიკურ